საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 30 იანვარი, 2025 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/37

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-7 პუნქტის, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 იანვრის №04-01/36 დადგენილებისა და ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1, 30.01.2025) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი მამუკა ალაფიშვილი.

2. რექტორის მოვალეობის შემსრულებელი არჩეული იქნეს ბხსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების ძალაში შესვლის დღემდე ვადით, მაგრამ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევიდან არაუმეტეს 6 თვის ვადისა.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე ნ. ვარშანიძე